ხელშეკრულება № 4
(ცეცხლმაქრების გადამუხტვა)

ქ. თბილისი 21 თებერვალი 2014 წელი

ერთის მხრივ, სსიპ №202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა, მისი დირექტორის ხათუნა ჯალაღონიას სახით, (შემდგომში - დამკვეთი), და მეორეს მხრივ, ი/მ "ვიტალი სირბილაძე", მისი დირექტორის ვ. სირბილაძის სახით, (შემდგომში – შემსრულებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია 4 ცალი ორკილოგრამიანი და 4 ცალი ექვსკილოგრამიანი ფხვნილოვანი ცეცხლსაქრობის გადამუხტვის მომსახურეობის შესყიდვა საკუთარი სახსრებით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის გზით (CPV კოდი 24951230).

2. გადამუხტვის ობიექტი

2.1 გადამუხტვის ობიექტია 4 ცალი ორკილოგრამიანი და 4 ცალი ექვსკილოგრამიანი ფხვნილოვანი ცეცხლსაქრობი. 1 ცალი 2 კილოგრამიანი ფხვნილოვანი ცეცხლსაქრობის გადამუხტვის ფასია 18 (თვრამეტი) ლარი, ხოლო 6 კილოგრამიანის – 30 (ოცდაათი) ლარი, სულ 192 (ას ოთხმოცდათორმეტი) ლარი.

3. გადამუხტვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ გადამუხტვის ობიექტების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. გადამუხტვის ობიექტების მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1 გადამუხტვის ობიექტების მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2 გადამუხტვის ობიექტების ადგილია: ქ. თბილისი, გუთნის ქ. № 6.

4.3 მომსახურების პარალელურად, შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა დამკვეთისათვის.

5. გადამუხტვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების დასრულება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება დამკვეთისა და შემსრულებელის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

6.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარში დღგ-ს გარეშე.

6.2 გადამუხტვის ობიექტების ღირებულების ანაზღაურება მოხდება გადარიცხვით.

6.3 გადამუხტვის ობიექტების ვადაა 2015 წლის 21 თებერვალი, გადამუხტვის ობიექტების 12 თვის განმავლობაში მწყობრიდან გამოსვლის შემთხვევაში შემსრულებელი ვალდებულია უფასოდ მოახდინოს მისი გადამუხტვა.

6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. თბილისი.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 დამკვეთს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

7.2. დამკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს გადამუხტვის ობიექტის მიღება.

7.3. შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს გადამუხტვის ობიექტების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4. შემსრულებელი ვალდებულია:

- მიაწოდოს დამკვეთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადამუხტვის ობიექტები ხელშეკრულების ხელმოწერიდან არა უგვიანეს ხუთი დღისა.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებული განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით.

8.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

8.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეში ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5% ოდენობით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2014 წლის 10 მარტამდე.

10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან გაურესდება ხელშეკრულების პირობები დამკვეთი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. ფორს-მაჟორი

11.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარო მოქმედება, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე ან ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევა შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

11.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
11.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების შესრულების მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრის სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილი იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 დამკვეთი უფლებამოსილია გადამუხტვის მომსახურების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და დამკვეთის მოთხოვნებთან.
13.2 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ დამკვეთი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს შემსრულებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
13.3 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თვითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

შემსრულებელი

ი/მ ვიტალი სირბილაძე
მის: თემქა, IV კვარტალი, მე-2 კორპუსი, ბინა 6.
სს "საქართველოს ბანკი"
ბ/კ: BAGAGE22
ს/კ: 01023000663
ა/ა: GE44BG0000000341663700
მობ: 593 366 344

დამკვეთი

სსიპ №202 უსინათლო ბავშვთა საჯარო სკოლა
მის: ქ. თბილისი, გუთნის ქ. № 6
ს/კ: 206 091 398
ს/ს "ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი LBRTGE 22
ა/ა: №GE83LB0121134143229000
მობ.: 577 33 86 96

დირექტორი:
ვ. სირბილაძე

დირექტორი:
ხ. ჯალაღონია